საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №2

2011 წლის 25 თებერვალი

ქ. საჩხერე

საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქონების გადასახადის შემოღების შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,მ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 201-ე; 202-ე; 203-ე; 204-ე; 205-ე და 206-ე მუხლების შესაბამისად:

მუხლი 1. საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 201-ე მუხლით განსაზღვრულ იურიდიულ და ფიზიკურ პირთათვის დაწესებული იქნა ადგილობრივი გადასახადი – ქონების გადასახადის სახით.

მუხლი 2. დამტკიცებულ იქნეს საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის დიფერენცირებული ტერიტორიული კოეფიციენტები მიწის ნაკვეთების ადგილმდებარეობის მიხედვით, დანართი 1-ის შესაბამისად.

მუხლი 3. დამტკიცებულ იქნეს საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქონების გადასახადის ზღვრული განაკვეთები, გადასახადის ცალკეული სახეების მიხედვით დანართი 2-ის შესაბამისად.

მუხლი 4. ქონების გადასახადი არ ვრცელდება საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საკარმიდამო, საბაღე, საბოსტნე და სააგარაკო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, აგრეთვე მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსებზე, საცხოვრებელ სახლებსა და ავტოფარეხებზე მიმაგრებულ მიწებზე.

გადასახადისაგან განთავისუფლება ხდება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით, რომლის ადმინისტრირებასაც ახორციელებენ საგადასახადო ორგანოები.

მუხლი 5. ამ დადგენილების ამოქმედების შემდეგ ძალადაკარგულად ჩაითვალოს ,,საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქონების გადასახადის შემოღების შესახებ“ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 27 თებერვლის №16 დადგენილება.

მუხლი 6. დადგენილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ნ. აბჟანდაძე**

დანართი 1

საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის დიფერენცირებული ტერიტორიული კოეფიციენტი და მიწის ნაკვეთის წლიური გადასახადი 1 კვ.მ.-ზე

№	მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობა	მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის კოეფიციენტი	მიწის ნაკვეთის წლიური გადასახადი 1 კვ.მ-ზე
1	ქ. საჩხერის ტერიტორია	0,83	0,20
2	მუნიციპალიტეტის სხვა დანარჩენი ტერიტორია	0,50	0,12

დანართი 2

საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქონების გადასახდის ზღვრული განაკვეთები ქონების ცალკეული სახეების მიხედვით

№	ქონების გადასახადის სახეები	გადასახადის განაკვეთები
1	2	3
1	საქართველოს საგადასახადო კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირთა ქონების გადასახადი.	ქონების საშუალო საბალანსო წლიური ღირებულების 1%
2	საქართველოს საგადასახადო კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირთა ქონების გადასახადი.	ა) საგადასახდო წლის წინა წელს 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 0,1 %; ბ) საგადასახადო წლის წინა წელს 100 000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 1 %;
3	საქართველოს საგადასახადო კოდექსის 203-ე მუხლით განსაზღვრულ პირთა საკუთრებაში არსებული და კანონით გათვალისწინებულ სარგებლობაში ან ფაქტიურ მფლობელობაში მყოფი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ქონების გადასახდი 1 ჰექტარზე.	ა) სათიბები (მათ შორის გაკულტურებული) 17,50 ლარი; ბ) საძოვრები (მათ შორის გაკულტურებული) 12,50 ლარი; გ) კარგი და მწირი ხარისხის სხვა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი, საკარმიდამო და სხვა.) მიწები 60 ლარი; დ) ყოფილი საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობის ტყეების მიწებზე – 20 ლარი; ე) ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლე პირისათვის შესაბამისი ლიცენზიის გაცემის საფუძველზე გამოყოფილი მიწა – 3 ლარი.
4	საგადასახადო კოდექსის 203-ე მუხლით განსაზღვრულ, პირთა საკუთრებაში არსებული და კანონით გათვალისწინებულ სარგებლობაში ან ფაქტიურ მფლობელობაში მყოფი სახელმწიფო საკუთრების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის წლიური გადასახდი 1 კვ.მ.-ზე.	ა) ქ. საჩხერის ტერიტორია – 0,20 ლარი; ბ) მუნიციპალიტეტის სხვა დანარჩენი ტერიტორია – 0,12 ლარი.